ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6051378

ნომერი: AR1908108

თარიღი : 28.06.2022

გაცემის თარიღი : 25.07.2022

გაცნობის თარიღი : 26.07.2022

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კახეთი , ისნის ბაზრობის მიმდებარედ (ნაკვეთი 067/005);

დამკვეთი-განმცხადებელი

- დათო მაისაშვილი პ/ნ 40001038859
- სიღნაღი ს. ტიბაანი 23–ე ქ. N 11

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- II კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ობიექტები
  - ავტოსამრეცხაო

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15

მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ– ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია რომლის პასუხად გაცნობებთ:
წარმოდგენილი დოკუმენტაციით ითხოვთ ორი, სხვადასხვა ფუნქციის შენობა ნაგებობის განთავსებას, გმოგახსენებთ რომ აღნიშნულ ზონაში - სატრანსპორტო ზონა 2 (ტზ-2) დაუშვებელია ყოველგვარი მშენებლობა, გარდა ამ წესების მე-15 მუხლით განსაზღვრული
ქვეზონით მოცული შენობა-ნაგებობებისა და სატრანსპორტო მომსახურების უზრუნველმყოფი სხვა საზოგადოებრივი შენობა-ნაგებობებისა კანონმდებლობის შესაბამისად, აღნიშნულის გათვალისწინებით დაკორექტირდეს დოკუმენტაცია ასევე მოთხოვნის ტექსტური ნაწილი, და ასევე ობიექტის ფუნქციური დანიშნულება გრაფა, ასევე საინფორმაციო დაფაზე მითითებული ობიექტის ფუნქციური დანიშნულებები. მოგახსენებთ რომ მითითებული ინფორმაცია ძველი გაპის კორექტირებასთან დაკავშირებით, შეუძლებელია, ან უნდა შეიტანოთ დადგენილ გაპში ცვლილება (თუმცა ფუნქციის ცვლილება, ან ახალი ობიექტის მოწყობა საჭიროებს ახალ გაპს), ან საკითხი გაგრძელდეს ახალი გაპით.

ამასთან მოთხოვნი ავტოსამრეცხაოს ფუნქციის ობიექტი ისე უნდა განთავსდეს ტერიტორიაზე რომ ქუჩიდან არ ხდებოდეს მისი აღქმა.

სამსახურში არსებული მონაცემების თანახმად მიწის ნაკვეთზე დადგენილია გაპი, ასევე შეთანხმებულია ავტოსადგურის არქიტექტურული პროექტი და გაცემულია მშენებლობის ნებართვა, შესაბამისად გაურკვეველია თქვენი მოთხოვნა შეთანხმებული დოკუმენტაციის ადგილას ახალი ობიექტის განთავსებაზე, საჭიროა განმარტოთ აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია, და საჭიროების შემთხვევაში დაკორექტირდეს დოკუმენტაცია.

ინფორმაცია დაგეგმილი გამწვანების შესახებ (გარდა II კლასის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობისა) -> განმარტებითი ბარათი: განმარტეთ ინფორმაცია დაგეგმილი გამწვანების შესახებ გამწვანების პროექტის სავარაუდო აღწერით.

ვინაიდან ნაკვეთსა და გზას შორის ფიქსირდება მცირე ზომის ვიწრო რეგისტრაცია (ს/კN 01.17.09.067.009), საჭიროა მოხდეს აღნიშნული ნაკვეთის სერვიტუტით დატვირთვა, ან საპროექტო მიწის ნაკვეთთან გაერთიანება საჭიროების შემთხვევაში დასაკორექტირებელი იქნება საპროექტო სენობა ნაგებობებს განთავსების სქემაც.
ასევე დამატებით წარმოსადგენია მომიჯნავე მიწის ნაკვეთის მესაკუთრის, ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულის თანხმობა მიწის ნაკვეთის გზის მოწყობასთან დაკავშირებით.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს სრულყოფილ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.